

# შპს სიო



შრომის უსაფრთხოების პოლიტიკა

### **მუხლი 1. ზოგადი დებულებები**

1. შემუშავებულია შრომის უსაფრთხოების და დაცვის მენეჯერის მიერ;
2. დოკუმენტი წარმოადგენს ნორმატიულ დოკუმენტს მთელი პერსონალისათვის.

### **მუხლი 2. კოლეჯის მიზანი და პოლიტიკა სამუშაო გარემოს ჯამრთელობის და უსაფრთხოების სფეროში:**

1. შპს სიოს(შემდგომში კოლეჯი) ძირითადი მიზანია ორგანიზაციაში დანერგილი სამუშაო გარემოს ჯამრთელობის უსაფრთხოების მენეჯმენტის სისტემის მხარდაჭერით შექმნას და მომხმარებელს მიაწოდოს მაღალი ხარისხის მომსახურება.
2. ჩვენი კოლეჯის პრიორიტეტული მიზანია კოლეჯიში დასაქმებული პერსონალისათვის შექმნას ჯამრთელი და უსაფრთხო გარემო და ფუნქციონირების პროცესში არ ჰქონდეს ტრამვის შემთხვევა.
3. კოლეჯის მენეჯმენტი პასუხისმგებლობას იღებს ადგილობრივი მოთხოვნების დაცვით მუდმივად გააუმჯობესოს შრომის უსაფრთხოების სისტემა და მისი ფუნქციონირების ეფექტურობა, რაც ძირითად საფუძველს წარმოადგენს რისკების, ტრამვების და ინციდენტების შემცირების თვალსაზრისით.

### **მუხლი 3. მიზნები და სტრატეგიული მიმართულებები შრომის უსაფრთხოების სფეროში**

1. კოლეჯის სტრატეგიული მიმართულებებია: დოკუმენტირებული, დანერგილი და მუშა მდგომარეობაში შენარჩუნებული შრომის უსაფრთხოების ეფექტურობის და შედეგიანობის შეფასება და მუდმივი გაუმჯობესება; სტრატეგიის და მიზნების სწორი დაგეგმვა; პერსონალის, მომხმარებლების, კონტრაგენტის ჯამრთელობის და უსაფრთხოების რისკების მიმართ სისტემური მიდგომა; რისკების დაგეგმვა და საგანგებო კრიზისული სიტუაციების ეფექტურად მართვა ტრამვების მინიმუმის მიზნით.
2. პოლიტიკის განხორციელებისათვის ორგანიზაციას დასახული აქვს შემდეგი მიზნები:
  - შეფასებული (მაღალი დონის) რისკების შემცირების ღონისძიებების დაგეგმვა- შესრულება;
  - ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება ინციდენტების, შემთხვევების და პოტენციური საფრთხეების მინიმუმამდე შემცირების მიზნით;
  - ნულოვანი ინციდენტი;
  - ადამიანებისა და გარემოსათვის პოტენციური ზიანის მინიმუმის მიზნით;
  - პროცესების მუდმივი გაუმჯობესება, პროცესების ინსპექტირების შედეგების/შეუსაბამობების მართვა;
  - პერსონალის კომპეტენტურობის და უსაფრთხოების მუდმივი გაუმჯობესება

### **მუხლი 4. ზოგადი მიმოხილვა**

1. წარმოდგენილი დოკუმენტის ძირითადი მიზანია კოლეჯის თანამშრომლებისა და მომხმარებლებისათვის დანერგოს უსაფრთხო სამუშაო გარემო საფრთხეებისა და რისკების შემცირების გზით.
2. საქართველოს ორგანული კანონის „შრომის უსაფრთხოების შესახებ“ შესაბამისად კოლეჯს ყავს შესაბამისი კომპეტენციის მქონე შრომის უსაფრთხოების და დაცვის მენეჯერი;
3. აღნიშნული სამსახური ქვეყანაში მოქმედი ნორმატიული აქტების, რეგლამენტებისა და სტანდარტების საფუძველზე, ასევე საერთაშორისო ნორმების გათვალისწინებით ახორციელებს კონტროლს სამუშაო პროცესების უსაფრთხო მიმდინარეობაზე, ასევე ორგანიზებას უწევს პერსონალის სწავლებას, მომზადებას და ცოდნის შემოწმებას.
4. კოლეჯიში მომუშავე პერსონალისათვის შემუშავდება(განახლებად რეჟიმში) შრომის უსაფრთხოების ინსტრუქციები. ყოველი ახლად მიღებული თანამშრომელი დასაქმებისთანავე გაივლის შრომის უსაფრთხოების ინსტრუქტაჟს. ინსტრუქტაჟად ჩაითვლება ასევე დასაქმებულთან/მომსახურების გამწვევთან გაფორმებულ ხელშეკრულებაში მითითებულ ელექტრონულ ფოსტაზე გაგზავნილი შრომის უსაფრთხოებასთან დაკავშირებული რეგულაციები, რომლის გაცნობაც სავალდებულოა;